



## პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 3 მაისი, 2017 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ციტრუსი“

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია - თბილისი, პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. მანანა ბიწამე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი, პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. ლევან ალაფიშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
4. ელენა ფილეევა - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
5. ირმა პავლიაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
6. ლელა ტალიური - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
7. თამარ სურმავა - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. არნოლდ სტეპანიანი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“
9. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
10. მარიამ რომელაშვილი - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
11. კონსტანტინე კანდელაკი - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
12. ქეთევან ხომერიკი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
13. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
14. ელენე ნიჭარაძე - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
15. მამუკა ყუფარაძე - სტუდია „რე“
16. ცირა ჭანტურია - ციხის საერთაშორისო რეფორმა
17. მარიამ გრიგალაშვილი - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
18. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
19. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი
20. ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი

21. იულია ხარაშვილი - იძულებით გადადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
22. მალხაზ გაგუა - საქართველოს პრესის ასოციაცია

### განსახილველი საკითხები:

- კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი;
- საპარლამენტო არჩევნების სისტემა კონსტიტუციის პროექტში;
- სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი. როგორც ჯგუფის კოორდინატორმა ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია - თბილისის წარმომადგენელმა აღნიშნა, კანონპროექტში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დახვეწას საჭიროებს. მათ შორისაა, როგორც საპარლამენტო საარჩევნო სისტემა, ასევე პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი კომპეტენცია. კოორდინატორებმა ჯგუფის წევრებს გააცნეს მიმართვის ტექსტი, რომელიც მათ შეიმუშავეს საპარლამენტო საარჩევნო საკითხზე და სთხოვეს ჯგუფს განეხილათ მიმართვა<sup>1</sup>.

ჯგუფის წევრები დაინტერესდნენ იმ სტატისტიკური მონაცემებით, რაც მიმართვის ტექსტშია მოტანილი. ჯგუფის კოორდინატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ აქვთ დეტალური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეყრდნობა დღემდე ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგებს.

გამოითქვა მოსაზრება მიმართვის ტექსტში ასახულიყო პრეზიდენტის არჩევის წესის შესახებ პლატფორმის პოზიცია, თუმცა რამდენდაც საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები არსებობს თავად ჯგუფის შიგნით, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე შემუშავდეს მიმართვა პარლამენტის არჩევის წესის შესახებ, ხოლო შემდეგ მომზადდეს ცალკე განცხადება, რომელიც მისაღები იქნება უმრავლესობისთვის ან გაიზიარებს კონკრეტული ჯგუფი.

ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა ირმა პავლიაშვილმა, წარადგინა წინადადება პარლამენტს პლატფორმამ შესთავაზოს კონკრეტული ფორმულა ან რამდენიმე ალტერნატივა, თუ როგორ უნდა განაწილდეს მანდატები. ჯგუფმა იმსჯელა ამ საკითხზე, თუმცა რამდენდაც, აღნიშნულ საკითხებში ღრმად ჩახედული ორგანიზაციების გარდა, სხვა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, შესაძლოა გაუჭირდეთ ფორმულების გააზრება და საჭირო გახდეს დამატებითი დეტალური ახსნა, რაც თავის მხრივ მოითხოვს დროს, ხოლო საკითხზე

---

<sup>1</sup> მიმართვის სამუშაო ვერსია ამობეჭდილი სახით დაურიგდათ ჯგუფის წევრებს

დროული რეაგირება ძალიან მნიშვნელოვანია, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე, ზოგადი ფორმულირებით გავრცელდეს მიმართვა, ხოლო მასზე რეაგირების შემდეგ მოხდეს კონკრეტულ ფორმულებზე ჩამოყალიბება.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-ს წარმომადგენელმა წარადგინა ინიციატივა მიმართვის ტექსტში ასახული ფრაზა „მანდატების განაწილების წესი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან“ გათვალისწინებული იყოს პარლამენტის მხოლოდ პროპორციული წესით დაკომპლექტების შენარჩუნების პირობით. ჯგუფმა განიხილა მისი წინადადება და შესაბამისი რედაქტირებით კენჭი უყარა მიმართვის ტექსტს. ხმის მიცემის პროცესში თავი შეიკავა სამმა ორგანიზაციამ. 16-მა ორგანიზაციამ გამოხატა მხარდაჭერა და მიიღეს გადაწყვეტილება მიმართვა გავრცელდეს მთელ პლატფორმაში, რათა სხვა ჯგუფის წევრებმაც უყარონ კენჭი და შემდგომ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების სახელით, მიეწოდოს პარლამენტს და გავრცელდეს მედიაში.

ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა, გამოხატა სურვილი, გაგრძელდეს შეხვედრები კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით და საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა მოსაზრებები გააცნონ ყველა დაინტერესებულ მხარეს. მათ შორის, შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს და პირადად მოისმინონ მისი პოზიციები.

საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ პლატფორმა შეხვდება პრეზიდენტს ეს შეიძლება გახდეს მიზეზი ბრალდებებისა, რომ პლატფორმა არის პოლიტიკურად მიკერძოებული. ამდენად, დააფიქსირა მოსაზრება, რომ უმჯობესია, თუ პლატფორმა, პრეზიდენტთან შეხვედრისას არ განიხილავს პრეზიდენტის არჩევის წესსა და მის კომპეტენციას.

ჯგუფის კოორდინატორმა, ორგანიზაციის: „თავისუფალი არჩევანი“ წარმომადგენელმა გამოხატა პოზიცია: იგი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტთან შეხვედრისას პლატფორმას უნდა ჰქონდეს ზოგადი დღის წესრიგი და სხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან ერთად, განიხილოს აღნიშნული თემაც. გარდა ამისა, ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია შეხვედრები გაგრძელდეს და პლატფორმა შეხვდეს, როგორც პოლიტიკურ პარტიებს, უმრავლესობას, სახალხო დამცველს, მედიას, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოები“-ს წარმომადგენლის მოსაზრებით, თუკი პლატფორმა იმუშავებს ამ ფორმით და შეხვდება სხვა აქტორებსაც, შესაძლებელი გახდება პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან აცილება.

დისკუსიის შემდეგ ჯგუფმა სრული კონსესუსით მხარი დაუჭირა შემდგომი შეხვედრების ჩატარებას, მათ შორის, პირველ რიგში პრეზიდენტთან შეხვედრის ორგანიზებას, რომლის მიზანიც იქნება, უშუალოდ სახელმწიფო მეთაურისგან მოისმინონ მისი პოზიციები კონსტიტუციის მნიშვნელოვან საკითხებზე და თავის მხრივ, პლატფორმამ გაუზიაროს პლატფორმის ერთიანი პოზიცია, თუ შეხვედრამდე მოესწრო მისი შემუშავება, ან წევრმა ორგანიზაციებმა ცალ-ცალკე დააფიქსირონ საკითხთან დაკავშირებული მათი მოსაზრებები.

ბატონმა ლაშა ტულუშმა, ჯგუფს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ იგი, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი, აპირებს საპარლამენტო საარჩევნო სისტემასთან

დაკავშირებით, მიმართოს ვენეციის კომისიას, სადაც დეტალურად, არგუმენტირებულად იქნება დასაბუთებული მისი პოზიცია. თუ პალტფორმის წევრი ორგანიზაციები გაიზიარებენ მის მოსაზრებებს, მოუწოდა მათ, რომ დააფიქსირონ მხარდაჭერა ხელმოწერით, მას შემდეგ რაც იგი გაავრცელებს ვენეციის კომისიისთვის წარსადგენ ტექსტს.

ჯგუფის კოორდინატორებმა ასევე მიმართეს ჯგუფის წევრებს, კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით მიაწოდონ თავიანთი არგუმენტირებული მოსაზრებები, რა ფორმითაც ისინი მიიჩნევენ საჭიროდ, იქნება ეს მიმართვის/ განცხადების თუ წინადადების სახით.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა ბიწაძე-მიქელაძემ, მათ ასევე მოუწოდა არჩევნების ქვეჯგუფის გააქტიურებისკენ. გარდა, ამისა გამოხატა მზაობა, თუ ჯგუფს აქვს სხვა ქვეჯგუფის შექმნის ინიციატივა, აღმოუჩინოს ორგანიზაციული მხარდაჭერა ქვეჯგუფების შექმნაში. ჯგუფში გამოითქვა სურვილი ჩამოყალიბდეს გენდერული ქვეჯგუფი. რადგან აღნიშნული საკითხი დაყენებული იყო მეოთხე სამუშაო ჯგუფშიც, გაჩნდა ინიციატივა შეიქმნას ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფი გენდერულ საკითხებზე.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.